



ღიღღღღღღ



№3, 2014






ძვირფასო მკითხველო!

ჟურნალ „დილის“ ეს ნომერი ცოტა უჩვეულოა: ყველაფერი – ლექსითა და მოთხრობით დაწყებული, ილუსტრაციებით დამთავრებული – შენი თანატოლების შემოქმედებაა. მსგავსი ტრადიცია დიდი ხანია არსებობს, ბავშვების მომზადებული „დილის“ ნომრები ადრეც არაერთხელ დაბეჭდილა.

ამჯერად ყველაფერი იმით დაიწყო, რომ მარტის თვეში პროექტის ფარგლებში – „ბავშვები მწერალთა სახლში“ – პატარებს „დილა“ მასპინძლობდა. პირველივე შეხვედრაზე გასაუბრების დროს გაირკვა, რომ ზოგი ხატავდა, ზოგი წერდა, ზოგსაც კროსვორდების შედგენა ეხერხებოდა. ამიტომაც შევთავაზეთ პატარა მკითხველს, თავად მოემზადებინათ ერთი ნომერი. საოცარია, როგორი გულმოდგინებით შეუდგნენ საქმეს, როგორ ისმენდნენ ერთმანეთის ნაწარმოებებს, იწონებდნენ, აკრიტიკებდნენ, ბჭობდნენ, ფიქრობდნენ; მერე რა მონდომებით აფორმებდნენ თითოეულ გვერდს, როგორ ბეჯითად ანაწილებდნენ მასალებს და ადგენდნენ მაკეტს...

ახლა კი მათი ნაშრომის შეფასება შენთვის მოგვინდია. არ დაიზარო, მოგვწერე შთაბეჭდილებები და შენიშვნები.

ჩვენ კი გზას დავულოცავთ პატარა შემოქმედებს: ფეხბედნიერი ყოფილიყოს მათი შემოქმედება ქართული ლიტერატურისა და ხელოვნების სფეროში.



მეწაფე

მხატვარი
მარიამ თათულიშვილი
10 წლის

გაწაფეულა ლამაზო,
მზიანო და ნათელი,
შენით ხარობს ბუნება
და ევაჟილთა სამეარო.
მოხვალ, აახმაურებ
ჩიტებს, ბადებს, ესოებს
და ჟუჟუნა წვიმებით
დაასველებ მინდორ-ველს.

ელენე ტუშური
13 წლის

ჩა შეუძლია ხელებს



მხატვარი
მარიამ თათულიშვილი
10 წლის

დედის ხელები! ისინი ისეთი მგრძობიარენი არიან, რომ მათი შეხებისას ბავშვი უთქმელად ხვდება, რა სურს დედას. როცა დედა თავისი ლამაზი ხელებით გვეფერება, მისგან უზარმაზარი სითბო და სიყვარული გადმოდის ჩვენზე. ისინი მზად არიან, დაიცვან თავიანთი შვილები.

მამის ხელები! ცოტა არ იყოს, მკაცრია, თუმცა მზად არის, შვილი დაიცვას. როცა ახალშობილი მამას პირველად აპყავს ხელში, ისინი თითქოს საერთო ენას პოულობენ. ამას გარდა, მამის ხელები შვილს ასწავლის თავდაცვას და არიგებს, რომ ტყუილად მუშტი არ უნდა მოიქნიოს. ასე რომ, დედისა და მამის ხელები ჩვენთვის აუცილებელია, რათა ბევრი რამ ვისწავლოთ და შევიგრძნოთ.

ხელებს კი, საერთოდ, ბევრი რამ შეუძლიათ. მათ შეუძლიათ აკეთონ სიკეთეც და ბოროტეც. არსებობენ სხვადასხვა პროფესიის ადამიანები, რომლებიც თავიანთი ხელებით კეთილ და პატიოსან საქმეს ემსახურებიან, მაგალითად, ექიმი: მის ხელებს შეუძლია გადაარჩინოს ადამიანი; როცა მეხანძრის ხელები ხანძარს აქრობენ, ხალხსაც შველიან და, ამავდროულად, ქალაქს ან სოფელს. ჯარისკაცის ხელები ომში თავის ქვეყანას, ხალხს და ოჯახს იცავენ მტრისგან, ხოლო მუშისა და არქიტექტორის ხელები ქალაქს ალამაზებენ – მათი დამსახურებაა, რომ დღემდე ამდენი ღირსშესანიშნავი შენობა-ნაგებობა და არქიტექტურული ძეგლია შემორჩენილი.

თუმცა, ჩემი აზრით, ყველაზე თბილი და მოსიყვარულე მაინც დედისა და მამის ხელებია.

ნიკოლოზ კამლაძე
12 წლის



იყო და არა იყო რა, იყო ერთი ლომების ოჯახი. დედა ლომმა ცხრა ბოკვერი დაყარა. პატარებს ჯერ ბენვი არ ჰქონდათ, ამიტომაც დედას და მამას მათთვის თბილი სახლი უნდა მოეძებნათ. გაუდგნენ გზას.

ბევრი იარეს თუ ცოტა იარეს, იპოვეს ერთი გამოქვაბული, სადაც დათვი ცხოვრობდა. ლომებმა ამის შესახებ არ იცოდნენ და მხიარულად შევიდნენ შიგ. გამოქვაბულში ძალიან თბილოდა, მაგრამ ბოკვერები ხმაურობდნენ და დათვსაც გამოელვინა. გაბრაზებულმა ოჯახი გარეთ გამოყარა. დაადგნენ ისევ გზას. ბოკვერები მთელი გზა წუნუნებდნენ, გვცივა, გვცივაო.

როგორც იქნა, ერთ სახლს მიადგნენ. ლომებმა შეამოწმეს და ნახეს, რომ შიგ არავინ იყო. შევიდა ოჯახი სახლში და იქ გაატარა ზამთარი, გაზაფხული, ზაფხული, შემოდგომა. მამა ლომი ნადირობდა და ოჯახს არჩენდა. დედა მზრუნველობას არ აკლებდა თავის ნაშიერებს. ერთი ბოკვერი ადრე დგებოდა და თამაშობდა, დანარჩენებს გვიანობამდე ეძინათ. ასე ბედნიერად გადიოდა დღეები, მაგრამ რა იცოდნენ, რომ წინ კიდევ ერთი განსაცდელი ელოდათ.

დადგა ისევ ზამთარი. მოვიდა დიდი თოვლი და ზვავმა დაანგრია ლომების სახლი. ოჯახმა ახალი თავშესაფრის ძებნა დაიწყო.

მოგზაურობისას ბევრ ხიფათს გადაურჩნენ. დედ-მამა დღედაღამ ფხიზლობდა, რომ მათ შვილებს არაფერი მოსვლოდათ. ბოლოს ისევ ერთ ხის სახლს მიადგნენ, სადაც კეთილი მოხუცი კაცი ცხოვრობდა. მოხუცს ძალიან შეეცოდა ქანცგამოცლილი ბოკვერები, ოჯახი სახლში შემოუშვა, მიხედა, დააბინავა, თავად კი ქალაქში გადანყვიტა გადასახლება. სახლი ლომებს დარჩათ. ისინი სიყვარულმა გადაარჩინა.

ამის შემდეგ ოჯახი იქ ბედნიერად ცხოვრობდა.

ჭირი იქა,
ლხინი აქა,
ქატო იქა,
ფქვილი აქა.



კახალი

ბატონები დამიბრძანდა,
სახელად - ჩუტუვავილა,
ჩემი სახე გადაიქცა
კოხლებიან უვავილად.

ერთ კვირაში ეს კოხლები
სადღაც გაქრა, წავიდა,
ჩემს თოჯინას სათამაშოდ
მივაკითხავ სვალადან,
და ცხოვრება უზრუნველად
დაიწეება თავიდან.

ელენა ჯანელიძე
6 წლის



მხატვარი
ალექსანდრა ნონოლაშვილი
5 წლის



შენით თენდება, შენით ღამდება,
ჩემო ღამაწო მშობელო დედავ,
გთხოვ მანატიე, თუ უნებურად
მე თუ ვაქციე ცრემლად.
დედა შვილისთვის ეველაფერია,
შვილი დედისთვის სევდა.
ფიქრით და დარდით გაჭაღარავდი,
განა ვერ ვამჩნევ, ვხედავ.


გიორგი მანაია
11 წლის

მხატვარი
სოფო გურჭულაძე
11 წლის

ქრისტეს ძეგლი

მიუვარს, როდესაც რეკავენ
ზარები ეკლესიაში...
ამ დროს წკრილით მოდიან
ქათქათა ანგელოზები...

თაკლა ჩერაქიშვილი
10 წლის



მხატვარი
ანა ლოლაძე
7 წლის



ინტერვიუ

გთავაზობთ ინტერვიუს 47-ე საჯარო სკოლის დირექტორთან, ქალბატონ ირმა ხუციშვილთან.

– რომელ წელს დაარსდა 47-ე სკოლა და თუ გახსოვთ, ვინ იყო მისი პირველი დირექტორი?

– სკოლა 1847 წელს დაარსდა. მაშინ მას წმინდა ნინოს კეთილშობილ ქალთა სასწავლებელი ერქვა და პირველი ხელმძღვანელიც სასულიერო პირი გახლდათ.

– ბავშვობაში რა პროფესიაზე ოცნებობდით?

- ვიცოდი, რა პროფესიაც არ უნდა ამერჩია, პასუხისმგებლობით მოვეკიდებოდი.
- წიგნების კითხვა გიყვარდათ?
- ძალიან.

– თქვენი საყვარელი მწერალი და ნაწარმოები?

- ანტუან დე სენტ-ეგზიუპერის „პატარა უფლისწული“.
- რომელი გმირი დაგამახსოვრდათ ყველაზე მეტად?
- ვაჟას ჯოკოლა და აკაკის ბათუ.
- სკოლაში რომელი საგანი გიყვარდათ?
- ყველა საგანს კარგად ვსწავლობდი, თუმცა გამორჩეულად ჰუმანიტარული საგნები მიზიდავდა. მიყვარდა მშობლიური ენა და ლიტერატურა. სიამოვნებით ვსწავლობდი ჩემი გმირი წინაპრების ისტორიას.

– როგორი ბავშვი იყავით?

- გათამამებული, თუმცა შრომისმოყვარე.
- მიზნის მისაღწევად რა არის საჭირო?
- ბევრი შრომა.
- როგორ შეაფასებდით სწავლის დონეს დღევანდელ სკოლაში?
- დღეს უფრო მეტი საშუალება არსებობს ინფორმაციის მოსაპოვებლად, ამიტომ სწავლის დონე გაცილებით მაღალია.

– კითხულობდით თუ არა ბავშვობაში ჟურნალ „დილას“?

- რა თქმა უნდა! სიხარულით ველოდი, როდის მომიტანდნენ სახლში.
- რამდენად ეხმარება ჟურნალი „დილა“ ბავშვს განვითარებაში?
- „დილაში“ იბეჭდებიან სახელოვანი მწერლები, პოეტები, გვერდებს აფორმებენ ცნობილი მხატვრები, ეს ყველაფერი ბავშვის განვითარებას უწყობს ხელს.

– რას უსურვებდით „დილის“ ერთგულ მკითხველს?

- ბედნიერ, ხალისიან და საინტერესო ბავშვობას.

ესაუბრა
ლიზი ბედოშვილი
8 წლის

გამოცანები

თამარ ქობულაშვილი
11 წლის

კვერცხებს დებს და ჩეკავს
სიუვარულით ზრდის,
ქარს და უვავს არ უთმობს
ჯაფით გამოზრდილს.

იშვიათი ცხოველია
ქარი უზის ფრთებსზე,
ოჩოზინტრეს რჩეულია
უმაღლ იცნობთ რქებსზე.

არც მსსლის სება და არც ვაშლის,
არც ქაღია, არც კაცია,
უნაყოფო, ეკლიანი
თეთრევაჟილა

მსუნავია, ხარბი,
განთქმულია ზორციით,
ლორი იცის კარგი,
კუზატი და ქონიც.





ევროკავშირი საქართველოს ეხმარება და სხვადასხვა პროექტებს ახორციელებს. მათ შორის არის ბევრი საბავშვო პროექტი ბავშვების განათლებისთვის და შემეცნებისთვის. დღეს გავესაუბრებით ევროკავშირის წარმომადგენელს, მაიკო ჩიტინას.



ევროკავშირის სამწუთიანი ფილმების ფესტივალი

ექსკლუზიურად ჟურნალ „დილისთვის“

- გამარჯობა, მოგვიყევით თქვენი პროექტის შესახებ.
- ეს არის ევროკავშირის სამწუთიანი ფილმების ფესტივალი, კონკურსი, სადაც მონაწილეობა ბავშვებსაც შეუძლიათ.
- რას ნიშნავს სამწუთიანი ფილმების ფესტივალი?
- ბავშვებს შეუძლიათ მობილური ტელეფონით გადაიღონ სამწუთიანი ფილმი და ატვირთონ ჩვენს ვებგვერდზე: www.eu3min.ge.
- და, რა თემაზე უნდა გადაიღონ ფილმები?
- თემა უნდა ეხებოდეს ევროკავშირის დაახლოებას საქართველოსთან და ჩვენი ქვეყნისთვის განეულ დახმარებას განათლების სფეროში.
- რა ასაკის ბავშვებს შეუძლიათ მონაწილეობის მიღება?
- სკოლის მოსწავლეებს, 13-დან 18 წლამდე.
- თუ საიდუმლო არ არის, ვინ იქნება კონკურსის ჟიური?
- მე მხოლოდ ჟიურის თავმჯდომარის ვინაობას გაგიმხელთ. ის იქნება მწერალი დათო ტურაშვილი.
- მერამდენე წელია ეს კონკურსი ტარდება?
- წელს ეს კონკურსი აპრილში დაიწყება. ის უკვე მესამე წელია ტარდება.
- რა პრიზები იქნება?
- მესამე ადგილზე გასული ბავშვისთვის გვაქვს ფოტოაპარატი, მეორე ადგილისთვის – mini ipad-ი, ხოლო პირველი ადგილისთვის – iphone5s-ი.
- კონკურსის პირობების ნახვა სად შეიძლება?
- ცოტა ხანში კონკურსის პირობებს გამოვაქვეყნებთ ჩვენს ვებგვერდზე.
- მიუხედავად იმისა, რომ ჩემი დედა ხართ, მაინც ოფიციალურად მოგმართეთ ინტერვიუსთვის. დიდი მადლობა საინტერესო ინფორმაციისთვის.



ესაუბრა
ქეთა ტვილდიანი
12 წლის


რეზუსები



გოგონა და ნატურისთვალი

მხატვარი
მარიამ მგელაძე
8 წლის

იყო ერთი გოგონა, სახელად თეკლა, რომელსაც ძალიან უყვარდა ბაღში სეირნობა. მას ჰყავდა დედა, მამა და სამი ძმა: ნიკოლოზი, გაბრიელი და გიორგი. ერთხელ მამამ გადანიშნა, ბავშვები სათევზაოდ წაეყვანა. გოგონას ძალიან უნდოდა წასვლა, მაგრამ ძმები ყოველთვის აბრაზებდნენ და მათ გამო უარი თქვა, თუმცა ბოლოს მაინც დასთანხმდა. თეკლას თევზაობა არ ეხერხებოდა, ამიტომაც იქვე ყვავილების კრეფა დაიწყო, თან ლილინს მოჰყვამო. ამა-სობაში მამას და ძმებს დაშორდა. უეცრად ყვავილებში ბრჭყვიალა ქვას მოჰკრა თვალი. ხელში აიღო, ძალიან მოეწონა. ამ დროს ხმა შემოესმა: მე ნატურისთვალი ვარ, ინატრე, რაც გსურს და აგიხდება, მხოლოდ იცოდე, სამი სურვილი შეგიძლია ჩაიფიქრო!



გოგონას გაუკვირდა და დაიწყო იმაზე ფიქრი, თუ რა ენატრა. მერე ძმები გაახსენდა და თქვა: მინდა ჩემმა ძმებმა აღარ გამაბრაზონო. ასეც მოხდა. იმ დღის შემდეგ ბიჭები აღარ აბრაზებდნენ დას. მერე ინატრა, ლამაზი შარვლები და კაბები ჰქონოდა. მის კარადაში მართლაც გაჩნდა ძალიან ლამაზი ტანსაცმელი. თეკლა დალონდა, რადგან ერთი სურვილია ჰქონდა დარჩენილი. დედამ ურჩია, ეზოში გასულიყო და ვინმე გაჭირვებულს დახმარებოდა. ასეც მოიქცა. ბაღში სკამზე დაინახა ლამაზი ბიჭი, რომელსაც გვერდით ყავარჯნები მიეყუდებინა. მივიდა და უთხრა: წამოდი, ვითამაშოთო. ბიჭმა მიახვედრა, რომ ხეიბარი იყო. გოგონამ მაშინვე გაიფიქრა, ეს არის ის, ვისაც ჩემი დახმარება სჭირდებაო, ნატურისთვალი ამოიღო და ისურვა, მინდა ამ ბიჭს ფეხი მოუჩრჩესო. ბავშვი მართლაც გამოჯანმრთელდა. იმ დღის შემდეგ ერთად თამაშობდნენ. გოგონა მიხვდა და ინანა, რომ ნატურისთვალი ორჯერ სულ ტყუილად გამოიყენა, რადგან მისი დახმარებით თურმე უფრო მნიშვნელოვანი საქმეების გაკეთება შეეძლო.

იცით თუ არა, რომ ...

ელენე კამლაძე
10 წლის



- აფრიკულ ფრინველს, იაკანას, ირიბად წასული ფეხები საშუალებას აძლევს, იოლად იაროს მოტივტივე მცენარეებზე, ამიტომაც „დუმფარებზე მოსრიალეს“ ეძახიან. მამალი ბუდეს აგებს, კვერცხებზე ზის და გამოჩეკილ ბარტყებს ზრდის. თუ ოჯახს საფრთხე დაემუქრება, ბარტყებს ფრთის ქვეშ იხსამს და დუმფარიდან დუმფარაზე ხტუნვა-ხტუნვით გადაჰყავს.
- ერთ-ერთ ყველაზე შიშისმომგვრელ მტაცებელს – აფთარს – ლომზე ლონიერი ყბები აქვს, ისეთი მაგარი, რომ შეუძლია, კამეჩს თედოს ძვალი გადაუმტვიროს. აფთრების სროვა ზებრასაც დასდევს, კამეჩსაც და მარტოხელა ლომსაც, თუმცა ნადირობის ნაცვლად ურჩევნია, თუ მოახერხებს, სხვას მოჰპაროს ნადავლი.



სოფო ბურჭულაძე
11 წლის





სუნამოს
ვაჩუქებ, მანამდე
დავურეკავ.

ალო,
ნათი, დღეს 3
საათზე შეგიძლია
შემხვედე?

კი,
დათო, შეგხვდები.

სამწუხაროდ
სასაჩუქრე პარკი
აღარ გვაქვს.

აუ,
რა
ჩავეიცვა?!

კარგი,
შავ პარკში
ჩამიდეთ.

მწვანელი
ვიყიდე, პურიც
ვიყიდე.

ნეტა
გაუხარდება?

ნათი,
ნახე რა
გაჩუქე ♥

არა,
ნათი, მოიცა,
ავიხსნი.

რა,
მწვანელი და
პური? ხმა აღარ
გამცე, ნახვამდის!




ცხენი



რამდენი მშვენიერი რამ არსებობს ქვეყნად? ნეტავ, შეუძლია კი ვინმეს დათვლა? მშვენიერების ერთ-ერთი გამოხატულებაა ცხენი. გამიგონია, თუ გინდა კარგად შეიცნო არსება, თვალეში უნდა ჩახედო. მის თვალეში ჩანს რაღაც, ოკეანესავით ღრმა და ამოუცნობი. ეს უძირო თვალეები სადღაც შორს იცქირება. თითქოს ესმის, გრძნობს, რას ფიქრობ, რა გინდა, რომ უთხრა. განა ცხენი არ არის ის არსება, რომელზე ამხედრებულმა ქართველებმა არაერთი ომი მოიგეს. რა ჯობია, უცქირო მდელით მორბენალ თეთრ ცხენს, რომელიც გამუდმებით ფლოქვებს სცემს მინაზე, თითქოს გიცდის, რომ დაუძახო; ან კიდევ თეთრ თოვლში მორბენალ შავ

ცხენს, რომლის ნაფეხურებიც ნელ-ნელა აჩნდება თოვლს. შენ ველარ ითმენ და უკან მისდევ. მირბის ცხენი სწრაფად, დროსავით. შენ გეწურობა იმედი, რომ დაეწევი და სასონარკვეთილი ჩერდება, იცქირები შორს, განუსაზღვრელ სივრცეს მიაპყრობ მზერას და ამ დროს ხედავ, ნელ-ნელა როგორ გიბრუნდება უკან. თითქოს დრო გაჩერდა. შენ ხელს წინ იწვდი და ნელი ნაბიჯით უახლოვდები. გეშინია მიეაღწერსო და ხელს მოშორებით აჩერებ. ცხენი თვითონ დგამს ნაბიჯს და, აი, შეეხე... შეგიძლია ჩახედო თვალეში და დატკბე მისი სილამაზით.



თამარ ქობულაშვილი
11 წლის

იცით თუ არა, რომ ... 

•ავსტრალიაში არსებობს ულურუს მთები, რომელიც დღემდე რამდენჯერმე იცვლის ფერს.

- ავსტრალიაში არსებობს ყვავილი, ვიქტორია რეგია, რომლის ყვავილი იმდენად დიდია, რომ ზედ 4-5 წლის ბავშვი თავისუფლად დაეტევა. ეს მცენარე ბათუმშიც ხარობს.
- ავსტრალიური სირაქლემა ემუს კვერცხი 3 კილოგრამს იწონის.

თამარ ქობულაშვილი
11 წლის



გასეირნება რუსთაველზე

დაფარვატებს რუსთაველზე
ოქროსფერი ციციქა ქალი,
ეჰ, რა მისი ბრაღი არის,
ასეირნებს თუკი ქარი.
მისეირნობს, მოსეირნობს,
მისი სახლი არსად არის,
ქუჩა-ქუჩა სიარული არც თუ ისე
კარგი არის.


იყურება კუნჭულ-კუნჭულ,
უშტერდება თითქოს თვალი,
ის ხომ მხლდოდ ფოთოღია –
რუსთაველის „ღამაზმანი“.

მარიამ მაღლაკელიძე
12 წლის



მხატვარი
გიორგი ზიზიზაძე
12 წლის

ლეკვის ნატვრა



მხატვარი
გიორგი ავალიშვილი
12 წლის

გაწუწული ლეკვი ნატრობს:
ნეტავ, დედა მეუადეს ახლოს.
მე რომ ასე ძლიერ მცნია
უეჭველად ის გამათბობს.

ის ჩამიკრავს გულში მავრად,
გადამისვამს თათებს ნაზად.
დედასავით მზეც ვერ ათბობს,
მიტომ მინდა, მეუადეს ახლოს.
დედა კარგად რომ გამაშრობს,
ისევ წავალ სათამაშოდ.

ნათია ბაქრაძე
12 წლის



ლეგენდის კვლევა

ნარმოიდგინეთ დიდი და დაბურული ტყე, უამრავი გამხმარი ბალახითა და მალალი, ბებერი, დაგრეხილი ხეებით, რომლებიც ურჩხულებს ნააგავდნენ და ისეთი ფორმა მიეღოთ, თითქოს სანადიროდ ჩასაფრებულანო.

მითხრეს, რომ ამ ხეების ქვეშ ამოდიოდა სოკოები, რომლებიც, გადმოცემის თანახმად, გადაადგილდებოდნენ. ასევე მითხრეს, რომ ტყეში ხეები ცოცხლობენ და აზროვნება შეუძლიათ. კიდევ ბევრი სხვა ლეგენდაც მოვისმინე, მაგრამ ეს ყველაფერი უმნიშვნელოდ მოგეჩვენებათ, რადგან ყველაზე მთავარი და მნიშვნელოვანი თქმულება ამ ტყეზე, რომელმაც მე სავარძლიდან წამომაყენა და ხელში თოფი დამაჭერინა, იყო თქმულება მაქციაზე – არსებაზე, რომელიც ყველას შიშს ჰგვრიდა.

ბევრი რომ არ გავაგრძელო, როგორც წინათ ვთქვი, ავდექი ჩემი სავარძლიდან და შევიარაღდი: ზურგჩანთა ჩავალაგე, ტყვიების ქამარი ავისხი და მამის ნაქონი თოფი გადავიკიდე. არ მჯეროდა, რომ ეს სულელური ლეგენდა იმდენად ვირწმუნე, ახლა მაქციაზე სანადიროდ მივდიოდი. თანაც მომბეზრდა მხოლოდ ირმებზე და კურდღლებზე ნადირობა.

და აი, მივადექი ტყეს. ის ჩემი სახლიდან არც ისე შორს იყო და ისეთივე საზარელი აღმოჩნდა, როგორც აღმინერდნენ.

ტყეში დიდხანს არ მივლია, მალე ჩამოხელოდა და კარავი გავშალე. კოცონი დავანთე და საძილე ტომარაც ამოვაძვრინე ჩანთიდან, მაგრამ ამ დროს მომესმა ხმა, რომელიც მგლის ყმუილს ნააგავდა. ნავავე თოფს ხელი და კარავი დავტოვე. ძალიან მეშინოდა, მაგრამ მაინც შეუპოვრად მივუყვებოდი იმ გზას, საიდანაც ხმა მომესმა. რაც უფრო წინ მივდიოდი, მით უფრო მინდოდა უკან დაბრუნება, მაგრამ არ ვნებდებოდი.

და აი, უცებ ისევ შემომესმა ყმუილი, ოღონდ უკვე გარკვევით. ხმა ძალიან ახლოდან მოდიოდა. ამ დროს ხეებს შორის სილუეტი დავინახე. შიშმა შემიპყრო. თოფი გადავტენე და გავისროლე, მაგრამ აღმოჩნდა, რომ იქ არავინ იდგა. გულზე მომეშვა და შემოვბრუნდი... გავშეშდი... დავინახე უცნაური არსება: მგელი, რომელიც ორ ფეხზე იდგა, ტანი ადამიანს მიუგავდა, თავი კი მგლისა ჰქონდა. წითელი, მრისხანე თვალებით შემომცქეროდა და მისი ცხელი სუნთქვა ჰაერში ორთქლად იშლებოდა, რასაც მისი ბღღვინვა მოსდევდა. ჩემი შიში გამართლდა: ჩემს წინ მაქცია იდგა.

გაყინული ვიდექი, ვერ ვინძრეოდი. ის მომიახლოვდა, კარგად დამათვალიერა, დამყნოსა და დაიღრიალა. ამ დროს ძალა მოვიკრიბე და გავიქეცი. ის გამომეკიდა. უკან მოუხედავად მივრბოდი, ვიცოდი, რომ ვერ გავასწრებდი, მაგრამ მაინც მივრბოდი. გზად ორმოს ნავანყდი, ველარ გავაგრძელე სირბილი, შემოვბრუნდი და თვალები დავხუჭე. თითქოს სიკვდილის არ მეშინოდა, მაგრამ რაღაცა ძალამ თოფი ხელში მომამარჯვებინა. ამ დროს მაქცია სულ ახლოს იყო, მან თათი მოიქნია, გამკრა თვალზე და შრამი დამიტოვა. მე ორმოში გადავეშვი, მაგრამ გასროლა მოვასწარი და გონება დავკარგე.

რომ გამომეღვიძა, საავადმყოფოში ვინექი, თვალზე ბინტუმოხვეული, ირგვლივ ჟურნალისტები მეხვივნენ. თურმე ორმოში სამი დღე ვეგდე. იქ ერთმა ძაღლმა მიპოვა და პატრონს უხმო. სამი დღე 120-კილოიანი მაქცია მანვა ზედ. მე ის თურმე მოვკალი.



ავტორი და მხატვარი
გიორგი ზიზნიძე
12 წლის

მაწანწალო ძაღლი

ხან სად იუუყება, ხან რას ეფარება
 ძაღლი მაწანწალა...
 დრო ხომ არ ჩერდება
 და ძაღლიც ბერდება...
 ქარსა და წვიმაში
 მას რომ შესცივდება,
 აკანკალებს და მოიბუხება,
 არვის ევალება ლუკმის გაწოდება,
 არვის ეცოდება, არვის ებრალება;
 ნაღვლიანი მხერა, განწირული ეეფა...
 უსახელოს, საწუალს,
 მცირე ალერსი ხომ მასაც ენატრება.
 უამრავი სითბო, უამრავი ფერი,
 ცელქი, საუვარელი, ოცნებებიც ბეჭი...
 მაგრამ არის ძაღლი მაწანწალა ერთი,
 მას არა აქვს ჭერი...
 ამ დროს სხვა ძაღლები სახლში ნებივრობენ,
 ბუხართან თბებიან,
 თავზე ევლებიან - ესეც ხომ ბეღია!
 მაწანწალას კი არასდროს აღარსად ეღიან...
 ძაღლაც გამოეღიან.

მხატვარი
დანი გინია
 8 წლის



ენის ვასაჭეხი

თეთრი თოვლი თეთრად ბარდნის
 ათასწლოვან მთანმინდაზე,
 თეთრი თოვლით დათოვლილი
 გადმოჰყურებს თბილისს თავზე.

ელენე ტუშური
 13 წლის



შიში მხოლოდ შენი წარმოსახვაა

იყო ერთი პატარა ბიჭი, სახელად ლაშა. ის მხოლოდ შვიდი წლის იყო, მაგრამ ყოველთვის სწყინდა, პატარას რომ ეძახდნენ, ამბობდა, უკვე დიდი ბიჭი ვარ, პატარას ნუ მეძახითო.

ერთხელაც პატარას მშობლებს სასწრაფო საქმე გამოუჩნდათ. ბიჭუნა ვერავის მიაბარეს და სხვა გზა რომ არ ჰქონდათ, მისი მარტო დატოვება გადაწყვიტეს. თან ჰკითხეს:

– თუ მართლა დიდი ბიჭი ხარ, შეძლებ სახლში მარტო დარჩენას?

– რა თქმა უნდა, შევძლებ! – ამაყად უპასუხა ბიჭმა.

– ოღონდ იცოდე, რომ ჩვენ გვიანობამდე ვერ დავბრუნდებით, – გააფრთხილა დედამ.

მშობლების არყოფნისას ლაშა ხან რითი ერთობოდა და ხან რითი. დაღამდა. ბიჭს შეეშინდა. უცებ საშინელი წვიმა დაიწყო. ყოველ დაქუხებაზე პატარა


ცახცახებდა. ამოვარდა ქარი, ხეები ააშრიალა. ტოტები ფანჯარაზე უცნაურ ჩრდილებს გამოსახავდა. შეშინებულ ბიჭს ერთი ჩრდილი ურჩხულად მოეჩვენა, ლარნაკი აიღო და ფანჯარას ესროლა. ლარნაკი დაიმსხვრა, ლაშა კი სასწრაფოდ ლოგინში ჩანვა და თავზე საბანი წაიფარა, თან ჩუმ-ჩუმად თვალს ფანჯრისკენ აპარებდა. ამ დროს მშობლებიც დაბრუნდნენ და დამსხვრეული ლარნაკი რომ ნახეს, მამამ შვილს ჰკითხა: „რატომ მოიქეცი ასე?“ ლაშამ ტირილით უპასუხა: „მამიკო, ჩვენს ფანჯარაში ურჩხული იხედებოდა და იმას ვესროლე, ისე შემეშინდა...“

მშობლებს გაელიმათ და ბიჭუნა დაამშვიდეს:

– ჩემო პატარავ, გახსოვდეს, რომ შიში მხოლოდ შენი წარმოსახვაა.

ბიჭმა კოპები შეიკრა:

– ხომ გითხარით, პატარას ნუ მეძახითო.




მხატვარი
თამარ ქობულაშვილი
11 წლის




იპოვე
12
განსხვავება



დაკარგული კნუტი




ავტორი და მხატვარი
სოფო გურაჭულაძე
11 წლის



სადამო იყო. ვარსკვლავები ციმცი-
მებდნენ. ბებო სამზარეულოში ფუს-
ფუსებდა, სავახშმოდ ვემზადებოდი.
ამ დროს აივნიდან კნავილი შემოისმა,
საცოდავი, შეშინებული ხმა იყო. ვერ
მოვითმინე და გარეთ გავედი: ტერასაზე
ძალიან ბნელოდა, მაგრამ მაინც წავედი იმ
ადგილისკენ, საიდანაც ხმა შემომესმა. იქ ისევ გაისმა საცო-
დავი კნავილი. მალე პატარა კნუტი შევამჩნიე, შავი ცხვირით
და დიდი შავი ხელებით. ხელში ავიყვანე და სახლისკენ წამო-
ვედი. შუქზე ვიცანი მეზობლის კნუტი, რომლის სახლი ჩვენი
ეზოს ზემოთ ორასი მეტრით არის
დაშორებული. იქ ცხოვრობს კავ-
კასიური ნაგაზი დებორა. სულელი
კნუტი ალბათ დებორას შიშით ჩვე-
ნი სახლისკენ გამოიქცა.

მეორე დღეს ნაპოვნი კნუტი დე-
დას წავეყვანე. როგორც კი დავ-
სვი, მაშინვე და-ძმებთან თამაში
დაიწყო, ხან დედას გაეთამაშებო-
და, ხან – მე. თითქოს ამით თავის
მადლიერებას გამოხატავდა.




გამოცანა

ფეხი — ერთი,
თვალი — სამი:
ერთს რომ ახელს,
ორს დახუჭავს.




უკეთესვა

რა მოგვდის თავში?

ავტორი და მხატვარი
ანა ლოლაძე
7 წლის



წიგნის ბედი



— ჩემი ჩივილი ალბათ ბევრს არ ესმის. ვჩივივარ იმიტომ, რომ ბავშვებს არ ვაინტერესებ. კომპიუტერზე გაგვცვალეს წიგნები. მწყინს, ძალიან მწყინს, რომ ასე ხდება, მაგრამ მე რა შემიძლია?! ერთი საბრალო, საცოდავი წიგნი ვარ. ადრე ხელიდან არ მიშვებდნენ. რამდენი ბავშვის ხელში ვარ ნამყოფი. ყდა გაცრეცილი მაქვს ამდენი მოგზაურობისგან. ზამთარში თუ გამომიყენებენ ბუხარში დასაწვავად.

ო... რამდენი ხანია უკვე გაუნძრევლად ვწევარ თაროზე და არავინ მაკითხავს. ათასში ერთხელ თუ გავახსენდები ხოლმე დიასახლისს და მხოლოდ მტვერს მაშორებს. უცნაურები არიან ადამიანები, ძალიან უცნაურები. ასეთი საინტერესო ზღაპრები მაქვს მათთვის შენახული, მაგრამ ზედაც არ მიყურებენ. ზღაპრების წაკითხვას კომპიუტერზე თამაშს ამჯობინებენ. ნეტავ რა აქვს ამ კომპიუტერს ისეთი საინტერესო, რომ აღარ სწყდებიან. არ მინდა ჩემი გასაჭირი თავს მოგახვიოთ, მაგრამ სიმართლეს ვამბობ, სრულ სიმართლეს.


აი, ასე ჩიოდა წიგნი. იგი ნაწყენი იყო ყველაზე, სულ ყველაზე. ადამიანები არ უყვარდა.

მაგრამ ერთხელ, როცა წიგნი თავისთვის იღო, პატარა გოგონა მიუახლოვდა.

— წიგნი! — თქვა მან. ხელში აიღო და ინტერესით დაიწყო ფურცვლა. ცრემლი მოეძალა წიგნს, სიხარულისგან ენა ჩაუვარდა, მალე გაისმა:

— იყო და არა იყო რა... და ბავშვმა შეწყვიტა კითხვა. დიდხანს აკვირდებოდა. წიგნი დაღონდა. ეგონა პატარა წაკითხვას არ აპირებდა, მაგრამ გოგონამ დედას მიუტანა წიგნი და სთხოვა:

— დედიკო, წამიკითხე! — მისი თვალები მუდართ იყო სავსე. დედიკომ გაუღიმა, წიგნი გამოართვა, იგივე ფრაზა გაიმეორა და წიგნი ბოლომდე ჩაუკითხა. გოგონა გაფაციცებით უსმენდა დედას და თვალები უბრწყინავდა. ზღაპარი დამთავრდა. დედამ გოგონას გაუღიმა და ჩუმად დატოვა ოთახი.



კურიოზული მარეალიტები

მომზადდა
11 წლის **თამარ ქოპულაშვილმა**

გეოგრაფიის მასწავლებელი მოსწავლეებს რუკაზე უჩვენებს კუნძულებს და ნახევარკუნძულებს. უკანა რიგებიდან ლაპარაკის ხმა ისმის. მასწავლებელმა რამდენჯერმე მისცა შენიშვნა და მკაცრი ტონით დაამატა: „ტლიკინი!“.

მეორე დღეს გეოგრაფიის მასწავლებელს ერთ-ერთმა მოსწავლემ მორიდებით ჰკითხა:

— მასწავლებელო, „ტლიკინის“ ნახევარკუნძული ვერ ვნახე რუკაზე.


ისევ გეოგრაფიის გაკვეთილზე მოსწავლე ამბობს:

— კუნძული, რომელიც არასოდეს არ ძველდება, არის „ახალი ზელანდია“.






1. რომელი ცხოველი ატარებს დღეში 20 საათს უძრავად?
2. ვარდისფერი გრძელფეხება ფრინველი;
3. უდაბნოს ცხოველი, რომელიც წყალს სხეულში ინახავს;
4. ცხოველი, რომელიც ბამბუკს გემრიელად ახრამუნებს;
5. ცხოველი, რომელიც ევკალიპტის ფოთლებით იკვებება და ხეზე ცხოვრობს;
6. რომელი ცხოველი იცვლის ფერს?
7. ლეშიჭამია, კლდეებზე მცხოვრები ფრინველი.




მოამზადა
9 წლის თიკო ტვილიანვა




ჩანერე ყვავილების სახელები ისე,
რომ მიიღო სიტყვა „ნაკადული“



ჩანერე „გათენების“ სინონიმები, ისე
რომ მიიღო სიტყვა „დილა“





ჩანერე ყვავილების სახელები ისე,
რომ მიიღო სიტყვა „ოქტომბრელი“



მოამზადა
11 წლის თამარ ქოზულაშვილი





გაკვეთილის მიწურული იყო, საქმე კი არაფერი მქონდა. მასწავლებელი ჟურნალს ავსებდა. ჩემდა უნებურად თავი მერხზე ჩამოვდე. თვალი ოთახის კარისკენ გამექცა. ყური კარგად რომ დავუგდე, რალაც ხმა შემომესმა, კარი ჩიოდა: „უკვე დავიღალე, აღარ შემიძლია, ყველაფერი ყელში ამომივიდა. ხან ფეხით მანვებიან, ხან – თავით, უკვე ხელიც მომტეხეს. პირდაპირ გაოგნებული ვარ. მე რომ არ ვიყო, ვერსად ვერავინ შევიდოდა და გამოვიდოდა. პატივი არ უნდა მცენ?! სადაცაა, უღონოდ ჩამოვეკიდები.“

გაოგნებული ახლა უკან მოვბრუნდი. ჩემი ჩანთა თავისას ნუნუნებდა: „შენი არ ვიცი, მაგრამ რად გინდა – ჩამაყრიან წიგნებს, გამომიკრავენ პირს, გამომგუდავენ და, ჰაიდა, სკოლაში! დავბერდები, იერი შემეცვლება და ნაგავშიც მომისვრიან“. ის იყო, მერხი და დაფაც უნდა აჰყოლოდნენ ჩივილში, რომ ზარის ხმამ გამომაფხიზლა. კარს ისევ უხეშად მიანვნენ ბავშვები, ყველა ცდილობდა, პირველი გასულიყო. ჩანთებშიც ჩვეულებისამებრ ჩავყარეთ მძიმე წიგნები, პირიც მოვუკეტეთ და ზურგზე მოვიგდეთ. ვცდილობდი, მათი ჩივილი შემესმინა. ჰოდა, კარსაც მორიდებით ჩავუარე და ფრთხილად მივხურე. ამ ჩანთას რალა მოვუხერხო, წიგნების სიმძიმეზე მე და ჩემი ჩანთა კი არა, მთელი ქვეყანა ჩივის. რას ვიზამთ, კარიც და ჩანთაც ხომ იმისთვის არიან, რომ თავდაუზოგავად გვემსახურონ, მაგრამ ჩვენც უნდა მოვუფრთხილდეთ.

ავტორი და მხატვარი
თაკლა გობინაშვილი
10 წლის



პასუხები

- გვ. 6 გამოცანები: კრუხი, აკაცია, ირემი, ღორი.
- გვ. 7 რეზუსები: ბუხარი, კუდი, ქალა.
- გვ. 15 გამოცანა: შუქნიშანი.
- გვ. 17 კროსვორდები:
 - I. ნარცისი, შროშანი, მიხაკი, ტიტა, ყოჩივარდა, ფურუსულა, ენძელა, ია.
 - II. შროშანი, ქრიზანტემა, ტიტა, მიმოზა, მიხაკი, ზამბახი, ვარდი, ენძელა, ღიღილო, ია.
 - III. განთიადი, აისი, ალიონი, გარიჟრაჟი.
- გვ. 19 ლოგიკური ამოცანა: ლია — დათვი; ვანო — თხა; დავითი — ლომი; თეონა — ვეფხვი.



ლოგიკური ამოცანა

ლია, ვანო, დავითი და თეონა 6 კალსის მოსწავლეები არიან. თითოეული სხვადასხვა ცხოველზე ამზადებს მოხსენებას. ეს ცხოველებია: დათვი, თხა, ვეფხვი და ლომი.

- არც ერთი მოსწავლის სახელის პირველი ასო არ ემთხვევა მოხსენებისთვის არჩეული ცხოველის სახელის პირველ ასოს.
- თითოეული მოსწავლის სახელის ასოთა რაოდენობა არ ემთხვევა არჩეული ცხოველის სახელის შემადგენელი ასოების რაოდენობას.
- ვიცით, რომ თეონას ლომი არ აურჩევია.
რომელი ცხოველი აირჩია თითოეულმა მოსწავლემ?

	დათვი	თხა	ვეფხვი	ლომი
ლია				
ვანო				
დავითი				
თეონა				

ნიკოლოზ კამლაძე

12 წლის



ამ ნახატის მიხედვით მოიგონეთ ამბავი და გამოგვიგზავნეთ ელფოსტაზე:
www.dila1904@yahoo.com.

მხატვარი
გიორგი თათულიშვილი
9 წლის



ფერადი ქვიშებით შესრულებული
ნახატი „ბულბული“

მხატვარი
ანა შუკაპია
10 წლის

სარედაქციო
საბჭო:

გიორგი ავალიშვილი
ნათია ბაქრაძე
დანი ბენია

ლიზი ბედოშვილი
ნიკოლოზ ბერიანიძე
სოფო ბურჭულაძე
თამარ ბუხსიანიძე
თეკლა გოგინაშვილი

გიორგი ზიბზიბაძე
ნიკოლოზ ზიბზიბაძე
გიორგი თათულიშვილი

მარიამ თათულიშვილი
ელენე კამლაძე
ნიკოლოზ კამლაძე

ანა ლოლაძე
მარიამ მაღლაკელიძე
მარიამ მგელაძე

თიკო ტვილდიანი
ქეთა ტვილდიანი
ელენე ტუშური

კესო ფრანგიშვილი
თამარ ქობულაშვილი
თეკლა ჩერქეზიშვილი

ალექსანდრე ნონოლაშვილი
ნახატი ყდაზე:
კესო ფრანგიშვილის

<http://www.dila.ge>,
ელ-ფოსტა: dila1904@yahoo.com,
facebook: საბავშვო გამომცემლობა
დილა
ფასი: 2 ლარი



მარტის გამომცემული

ბარბარე კუპრეიშვილი

